პოლიტიკა და ეკონომიკა

1. აპირებთ თუ არა რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილებ(ებ)ის ინიცირებას საქართველოს კონსტიტუციაში?

ქვეყნის სტაბილური განვითარებისათვის უმნიშვნელოვანესია სისტემური რეფორმების გაგრძელება და გაღრმავება, საქართველოს ევროპული განვითარებისთვის გარანტიების შექმნა. შესაბამისად, აუცილებელია საკონსტიტუციო „ზურგის“ უზრუნველყოფაც, რაც შემდეგში გამოიხატება:

- საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულაში უნდა *ჩაიწეროს: „დავიმკვიდროთ სრულფასოვანი ადგილი დემოკრატიული სახელმწიფოების უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ევროატლანტიკურ სისტემაში“*, რითაც განვაცხადებთ საქართველოს განვითარების უმნიშვნელოვანეს მიზანს – დამკვიდრებას დემოკრატიულ ერთა თანამეგობრობაში;
- უნდა შეიცვალოს კონსტიტუციის გადასინჯვის წესი, რათა, ერთი მხრივ, უზრუნველვყოთ კონსტიტუციის სტაბილურობა და, მეორე მხრივ, მცირერიცხოვან ჯგუფს არ მიეცეს საჭირო ცვლილების ბლოკირების შესაძლებლობა;
- უნდა დადგინდეს პარლამენტის ადამიანის უფლებათა და პეტიციის საკითხთა კომიტეტების შექმნის ვალდებულება, რომლის წევრთა ნახევარი, მათ შორის, თავმჯდომარეები, ოპოზიციის წარმომადგენლები იქნებიან;
- უნდა დადგინდეს დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის ვალდებულება, თუ ამას მოითხოვს პარლამენტის წევრთა, სულ ცოტა, 1/5;
- პარლამენტს უნდა ჰქონდეს საგანგებო პროკურორის დანიშვნის უფლება, როცა დანაშაულის ნიშნები იკვეთება ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირთა მოქმედებაში;
- მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადება კონსტრუქციული ვოტუმის კლასიკური მოდელით უნდა ხდებოდეს;
- არსებული საარჩევნო სისტემა უნდა შეიცვალოს პროპორციული საარჩევნო სისტემით;
- საქართველოს პრეზიდენტს უნდა მიენიჭოს არაპოლიტიკური სახელმწიფო ინსტიტუტების (სასამართლო ხელისუფლების, პროკურატურის, მარეგულირებელი კომისიების, ცესკოს) ფორმირებაში მონაწილეობის უფლება;
- უნდა აიკრძალოს სამხედრო ძალებზე, სახელმწიფო უსაფრთხოებასა და პოლიციაზე პასუხისმგებელ უწყებათა ნებისმიერი გაერთიანება;
- კონსტიტუციაში მკაფიოდ უნდა აისახოს სუბსიდიარობის პრინციპი, რათა გაგრძელდეს ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის უფლებამოსილებათა მკაფიო გამიჯვნისა და ადგილობრივი ხელისუფლებისთვის ფუნქციების დელეგირების პროცესი; სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრისათვის აუცილებელია ქვეყნის მდგომარეობის ობიექტური შეფასება, რისთვისაც საჭიროა ობიექტური სტატისტიკური ინფორმაცია და სახელმწიფო სახსრების ხარჯვაზე კონტროლთან ერთად, საბიუჯეტო შემოსავლების კონტროლიც. ამისათვის აუცილებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ფუნქციების გაზრდა და მთავრობისაგან დამოუკიდებელი, სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილი სტატისტიკის სამსახურის შექმნა, რომელიც უნდა იყოს დამოუკიდებელი,

პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული დაწესებულება, რომლის დირექტორსაც, პარლამენტის თანხმობით, თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი.

2. რა პოლიტიკას განახორციელებთ სასამართლოების დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად, სასამართლო სისტემის მიმართ ნდობის გასაძლიერებლად?

სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის, სასამართლოს ხელმისაწვდომობის და მოსამართლეთა პროფესიონალიზმის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლოს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, იუსტიციის უმაღლესი სკოლის, სასამართლოს თავმჯდომარეების როლის ახლებური გააზრება და სათანადო საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება:

- გაფართოვდება საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება: გარდა არსებულისა, იგი უნდა წყვეტდეს დავებს საერთო სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების კონსტიტუციურობის გამო, თუ დავის საფუძველი სასამართლოს მიერ გამოყენებული სამართლებრივი ნორმის ან მისი ინტერპრეტაციის კონსტიტუციურობაა; მკაფიოდ ჩამოყალიბებული ადმინისტრაციული პრაქტიკის კონსტიტუციურობის გამო, თუ ამგვარი პრაქტიკა ზღუდავს პირის ამა თუ იმ ძირითად უფლებასა თუ თავისუფლებას; ნებისმიერი ნორმატიული აქტის, და არა მხოლოდ კანონის, კონსტიტუციურობის გამო;
- უზრუნველყოფილი იქნება იუსტიციის უმაღლესი საბჭოსაგან იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებლობა. სკოლა დამოუკიდებლად ჩაატარებს მისაღებ კონკურსს და განსაზღვრავს მსმენელთა ვინაობას. იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ჩამოშორდება მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდების ორგანიზება;
- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ შერჩეულ მოსამართლეობის კანდიდატებს თანამდებობაზე საქართველოს პრეზიდენტი დანიშნავს;
- მოსამართლედ გამწესებისათვის დაწესდება ნამსახურობის ცენზი: პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლისათვის – იურისტად მუშაობის ხუთწლიანი გამოცდილება, სააპელაციო სასამართლოს მოსამართლისათვის – პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლედ მუშაობის ხუთწლიანი გამოცდილება;
- უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატებს საქართველოს პრეზიდენტი შეარჩევს კანონით განსაზღვრული გამჭვირვალე პროცედურით, სულ ცოტა, თხუთმეტწლიანი სამუშაო გამოცდილების მქონე იურისტებისგან ან მოსამართლეთაგან, რომელთაც აქვთ სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ მუშაობის, სულ ცოტა, ოთხწლიანი გამოცდილება;
- უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობიდან გადაყენება შესაძლებელი გახდება მხოლოდ იმპიჩმენტის გზით;
- კანონით, და არა საკუთარი რეგლამენტით, განისაზღვრება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის ძირითადი საკითხები, რაც უზრუნველყოფს მის გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას;
- სასამართლოს თავმჯდომარეთა ვინაობა კონკრეტული სასამართლოს მოსამართლეთა შორის წილისყრით განისაზღვრება. კანონით განისაზღვრება სასამართლოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილისა და კოლეგიის თავმჯდომარის ფუნქციები, რომელთა შორის უმთავრესი სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელება იქნება;

- დაუყოვნებლივ ამოქმედდება მოსამართლეთა შორის საქმეთა ელექტრონული, შემთხვევითი შერჩევით განაწილების წესი.

3. რა პოლიტიკას განახორციელებთ ადამიანთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის განსამტკიცებლად?

ეს საკითხი, უპირველეს ყოვლისა, უკავშირდება სახელმწიფოს ძალოვანი უწყებების, პირველ რიგში, უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის არსებულ საბჭოურ პრაქტიკას და ამ პრაქტიკის საკანონმდებლო რეგულაციების გაუმართაობას. მართალია, 2015 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს გამოეყო სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური და ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ სააგენტოდ, რომელიც ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე, მაგრამ ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯი იყო და აუცილებელია ამ სამსახურის შემდგომი მოდერნიზაცია.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ფუნქცია უნდა იყოს სახელმწიფო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიება, ანალიზი, სისტემატიზაცია, სათანადო გადაწყვეტილებების მიღება, რეკომენდაციებისა და დასკვნების მომზადება შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებისთვის, საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემებთან თანამშრომლობა. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური არ უნდა ეწეოდეს სისხლისსამართლებრივ დევნას, არ უნდა ადგენდეს, რა არის „სახელმწიფოებრივად სწორი“ და რა არა, არ უნდა იღებდეს უფლებრივი შეზღუდვის გადაწყვეტილებებს კონკრეტული პირების მიმართ - იგი მხოლოდ ინფორმაციას უნდა აწვდიდეს გადაწყვეტილების მიმღებ პირებს. სახელმწიფო უსაფრთხოების პრიორიტეტებს და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოქმედების ფარგლებს უნდა ადგენდეს პარლამენტი და არა თავად ეს სამსახური. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურზე უნდა დაწესდეს ეფექტიანი საპარლამენტო კონტროლი.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს უნდა გამოეყოს და დამოუკიდებელი სააგენტოს სახით ჩამოყალიბდეს ტექნიკური დეპარტამენტი, რომელიც ამჟამად უზრუნველყოფს ფარულ ელექტრონულ მოსმენებს, როგორც ამავე სამსახურისთვის, ასევე ოპერატიულ-სამძებრო მიზნებისთვის.

კანონით ნებადართული ფარული ელექტრონული მოსმენების ტექნიკური უზრუნველყოფა, ელექტრონულ კომუნიკაციებთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების ბაზების შექმნა და შესაბამისი ინფორმაციის გაცემა უნდა განახორციელოს ისეთმა სამსახურმა, რომლის ფუნქცია მხოლოდ აღნიშნული საქმიანობა იქნება. ასეთად გვესახება დამოუკიდებელი ფარული ელექტრონული თვალთვალის სააგენტო, რომლის ხელმძღვანელსაც კანონით განსაზღვრული ვადით დანიშნავს პარლამენტი და რომელიც ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელი იქნება მხოლოდ პარლამენტის წინაშე. უნდა შეიქმნას სააგენტოს საქმიანობაზე ქმედითი საპარლამენტო კონტროლის მექანიზმი. გარდა ამისა, ოპერატიულ-სამძებრო მიზნებისთვის ფარული მოსმენებისა და პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერება მუდმივად უნდა აკონტროლოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა.

4. როგორი საარჩევნო სისტემა უნდა არსებობდეს საქართველოში?

თუ გვსურს პარლამენტში გვყავდეს წარმომადგენელი, რომელიც ჩვენს შეხედულებებს გამოხატავს, ხოლო საქართველო გახდეს ჭეშმარიტად დემოკრატიული სახელმწიფო, სადაც გამორიცხული იქნება ავტორიტარული (ერთპიროვნული ან ერთპარტიული) რეჟიმის

დამყარება, საამისოდ, პირველ რიგში, საჭიროა, არსებული საარჩევნო სისტემის შეცვლა პროპორციული საარჩევნო სისტემით, როცა პარლამენტის 150 წევრი აირჩევა მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქებში. ასეთი სისტემა მოგვცემს ამომრჩეველთა ნების შესატყვისი შედეგის მიღების, მათ შორის, რეგიონული ინტერესების გათვალისწინების შესაძლებლობას.

ადგილობრივი არჩევნების სისტემა უნდა შეიცვალოს შედარებით რბილი სისტემით (მაგალითად, პროპორციული სისტემით, ღია პარტიული სიებით, ან მასთან კომბინირებული მრავალმანდატიანი ოლქებით), რათა გაიზარდოს საკრებულოებში სხვადასხვა სოციალური ჯგუფების წარმომადგენლობა.

საარჩევნო პროცესს თან ახლავს დემოკრატიულობის ხარისხის განმსაზღვრელი ისეთი მნიშვნელოვანი ასპექტი, როგორიც გენდერული თანასწორობაა. მისი უზრუნველყოფისთვის, აუცილებელია პოლიტიკურ საქმიანობაში ქალთა ჩაბმის წამახალისებელი რეგულაციების შემოღება, როგორიცაა გენდერული კვოტირება პარტიების საარჩევნო სიებში.

5. როგორია თქვენი ხედვა განათლების პოლიტიკის მიმართ და რა პოლიტიკას გვთავაზობთ დაწყებითი, საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად?

სახელმწიფომ უნდა გაზარდოს განათლების დაფინანსება. დღეს არსებული მთლიანი შიდა პროდუქტის 1,8 პროცენტის (2015) ნაცვლად, ამ ეტაპზე სრულიად რეალურია, რომ მთლიანი შიდა პროდუქტის 5% სწორედ განათლებისა და მეცნიერების განვითარებაზე დაიხარჯოს.

სასკოლო განათლებასთან მიმართებით განათლების სამინისტროს ფუნქცია უნდა იყოს: სასკოლო განათლების პოლიტიკის განსაზღვრა, მასწავლებლების მომზადება და შესაბამისი ხარისხის მინიჭება (უნივერსიტეტებთან ერთად).

- მასწავლებელი - დღეს მასწავლებლის საბაზო ხელფასი 360 ლარია, რაც იმ მოთხოვნების არაადეკვატურია, რასაც სახელმწიფო და საზოგადოება მასწავლებლის შრომის შედეგებს უყენებს.
- უნდა დაწესდეს მასწავლებელთა მინიმუმ სამსაფეხურიანი გრადაცია. კრიტერიუმი უნდა იყოს შრომის შედეგი. უმაღლეს საფეხურზე მყოფ მასწავლებელს ხელფასიც ძალიან მაღალი უნდა ჰქონდეს და, შესაბამისად, უნდა გაიზარდოს მისდამი ნდობა.
- აუცილებელია მასწავლებლის პრესტიჟის, მისი ავტორიტეტის გაზრდა. ამის გაკეთება შეუძლებელია მასწავლებელთა მომზადების ახალი სისტემის შექმნის გარეშე. ეს უნივერსიტეტებმა უნდა განახორციელონ. მათვე უნდა მიიღონ მონაწილეობა მასწავლებლებისათვის შესაბამისი ხარისხის მინიჭებაში.

პროფესიული განათლება თავისი არსით დუალურია. მასში თანამშრომლობს მინიმუმ ორი მხარე - ბიზნესი და სასწავლებელი. ფაქტია, რომ ბიზნესის რეალური მოთხოვნები და საგანმანათლებლო სფეროს შესაძლებლობები არ არის თანხვედრაში. ამ შეუთავსებლობის დასაძლევად საჭიროა შემდეგი ღონისძიებების გატარება:

- შრომის ბაზრის რეგულარული კვლევა;
- საინფორმაციო სისტემების დანერგვა;
- პროფესიული მასწავლებლების მომზადების, გადამზადების სისტემის დანერგვა და პროფესიულ განათლებაში ჩართვის მოტივაციის გაზრდა;

- დაფინანსების დღეს არსებული მოდელის შეცვლა და პროფესიული სასწავლებლების ყველა სტუდენტისათვის თანაბარი ხელმისაწვდომობა, განურჩევლად სასწავლებლის სამართლებრივი სტატუსისა (კერძო თუ სახელმწიფო), დაფინანსების მოდელში საწარმოო პრაქტიკის დაფინანსების გათვალისწინება;
- ბიზნესსუბიექტების ცნობიერების ამაღლება და პროფესიულ განათლებაში ჩართვის სტიმულირება;
- პროფესიული კავშირის როლის გააქტიურება შრომის პირობებისა და შრომითი უფლებების დაცვის საკითხებში;
- პროფ. ორიენტაციის კომპონენტის გააქტიურება და სისტემური მიდგომების განხორციელება;
- საგანმანათლებლო ჩიხების აღმოფხვრა, განათლების ზედა საფეხურებზე კრედიტების ტრანსფერის, ფორმალური განათლების აღიარების მექანიზმების შექმნა.

6. რა ნაბიჯებს გადადგამთ უმუშევრობის დასაძლევად?

სიღარიბე არ დაიძლევა მხოლოდ მასთან „ბრძოლით“, ისევე როგორც უმუშევრობა - დასაქმების პროგრამებით: თუ სწრაფი ტემპით არ განვითარდა ქვეყნის ეკონომიკა, შეუძლებელი იქნება კეთილდღეობის მაღალი სტანდარტის მიღწევა.

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ჩვენ მიერ დასახული კურსის შედეგად, კონკრეტულ სარგებელს მიიღებს თითოეული მოქალაქე:

- იპოვის საკუთარი კვალიფიკაციისა და გამოცდილების ადეკვატურ სამუშაო ადგილს, რითაც შეძლებს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციას;
- გაუჩნდება შემოსავლები და გაუმჯობესდება მისი სოციალური მდგომარეობა.

შრომის კანონმდებლობის ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია ამ ამოცანების რეალიზაციის მნიშვნელოვანი კომპონენტია. კანონმდებლობის ჰარმონიზაციისა და ცივილიზებული შრომის ბაზრის ფორმირების მიზნით:

- შეიქმნება უმუშევართა აღრიცხვის საინფორმაციო ბანკი, რათა შესაძლებელი გახდეს მათთვის ადეკვატური სამუშაოს შეთავაზება;
- დასაქმების სამსახურების ძალისხმევის ფოკუსირება მოხდება უმუშევრის მიერ ახალი სამუშაო ადგილის ძიების პერიოდის შემცირებასა და იმ უმუშევრების ხელშეწყობაზე, რომლებსაც აქვთ უმცირესი შანსი და შესაძლებლობა დასაქმებისათვის;
- შეიქმნება შრომითი დავების მოგვარების ეფექტური მექანიზმები;
- შეიქმნება სოციალური დიალოგისა და სოციალური პარტნიორობის ეფექტიანი სისტემა.

ჩვენ არავის მივცემთ უფლებას, შელახოს დასაქმებულის უფლებები. ასევე, შევქმნით ხარისხიან სამუშაო ადგილებს ახალგაზრდებისთვის.

დასაქმების პოლიტიკა არ შეიძლება იყოს განხილული მხოლოდ ცალკე აღებულ სოციალურ მიმართულებად, შესაბამისად, კონკრეტული ნაბიჯები ეკონომიკაში და შედეგები წარმოჩენილია ჩვენი პროგრამის შესაბამის ნაწილებში შესაბამისი საპროგნოზო ახალი სამუშაო ადგილების მითითებით, თითოეული პროგრამის მიხედვით.

7. როგორია თქვენი გეგმა ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად? რა არის პრიორიტეტული თქვენს ეკონომიკურ სტრატეგიაში და რა კონკრეტული ინიციატივები გაქვთ?

მცირე და საშულო ბიზნესის თავისთავად განვითარება ძალიან ნელა ხდება. მსოფლიო პრაქტიკით, აქ მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მონაწილეობა მცირე და საშუალო ბიზნესის იმგვარ წახალისებაში, რაც კერძო სექტორში ინვესტიციებისა და ინოვაციების ზრდას გამოიწვევს. აღნიშნული ეფექტის მიღწევა შესაძლებელია მცირე და საშუალო ბიზნესისთვის შემდეგი გარემოებების უზრუნველყოფით:

- დანახარჯების შემცირების უზრუნველმყოფი რეფორმების გატარება, ანუ ნედლეულსა და რესურსებზე მონოპოლიური ფასების შემცირება;
- ეფექტიანი კონკურენციის პოლიტიკის გატარება, რომლის მიხედვითაც თანაბარი პირობები შეიქმნება ყველა სახის ბიზნესისთვის;
- ბიზნესგარემოში არსებული რისკების შემცირება;
- კრედიტების ხელმისაწვდომობის ზრდა (რისკების შემცირების გზით საპროცენტო განაკვეთების დაწევა);
- საკუთრების და გარიგების დაცულობა, მათი ხელშეუხებლობა;
- საგადასახადო პროცედურების გამარტივება (გადასახადების გამოანგარიშებისა და გადახდის მარტივი წესების შემოღება).

ერთი მხრივ, სამართლიანი კონკურენციის პოლიტიკა და, მეორე მხრივ, მცირე და საშუალო საწარმოთა მხარდაჭერა უზრუნველყოფს მათ მიერ წარმოებული პროდუქციის მოცულობის და კაპიტალის ზრდას. ეს კი ამ სექტორში დასაქმების მაჩვენებლების ზრდას გამოიწვევს, რაც სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების ერთ-ერთი საფუძველი იქნება.

მიკრობიზნესის დამწყები ან განმავითარებელი მოქალაქეებისა და მცირე ჯგუფებისათვის გათვალისწინებული პროგრამისთვის „დამწყებთათვის რეგიონებში“ წლის განმავლობაში გამოიყოფა არანაკლებ 60 მლნ. ლარისა, 20,000 ლარამდე ღირებულების (თანადაფინანსების გარეშე) ინდივიდუალური და ჯგუფური პროექტებისათვის.პროექტების კონკურსი ჩატარდება წელიწადში 6-ჯერ, ყოველ 2 თვეში, თითო კონკურსზე 10 მლნ ლარის გამოყოფის გათვალისწინებით.

ამის გარდა, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას ხელს შეუწყობს აგრეთვე გრანტის ელემენტების შემცველი დაკრედიტების სისტემა, რომელიც მიმართული იქნება იმ სეგმენტების მხარდასაჭერად, რომლებსაც საკმარისი საფუძველი და შესაძლებლობა აქვთ, საქმიანობის კომერციალიზაციის მოსახდენად. სააგენტოებს უნდა ჰქონდეთ მკაფიო პრიორიტეტები, გეოგრაფიული და დარგობრივი კრიტერიუმები რეგიონების მიხედვით ამ მექანიზმის რეალიზაციისათვის.

8. ლარის კურსის გაუფასურებამ გასულ პერიოდში უარყოფითი გავლენა მოახდინა მოსახლეობაზე. აპირებთ თუ არა რაიმე პოლიტიკის გატარებას ამ მიმართულებით და თუ ასეა, რაში მდგომარეობს თქვენი გეგმა?

ბოლო წლების საგარეო რყევების ფონზე ნათელი გახდა, რომ არც ეროვნულ ბანკს და არც საქართველოს მთავრობას არ გააჩნიათ შესაბამისი ვარიანტული გეგმები, თუ რა მეთოდებით და საშუალებების შეიძლება მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი საგარეო შოკების გავლენა შიდა სავალუტო ბაზარზე.

საჭიროა, ეროვნული ბანკის მიერ ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ყოველწლიურ დოკუმენტში შემოთავაზებული იქნეს ის ბერკეტები და მონეტარული

რეგულირების ინსტრუმენტები, რომელთა მეშვეობითაც მკვეთრად შემცირდება შიდა სავალუტო ბაზარზე ლარის გაცვლითი კურსის მკვეთრი ცვლილებები.

ლარის გაცვლითი კურსის დადგენის წესი არ არის გამჭვირვალე და ეს საკითხი საჭიროებს დაუყოვნებლივ გადახედვას. ცხადია, არ ვგულისხმობთ, რომ „ბლუმბერგის" სისტემაში აღარ მოხდეს გარიგებები, თუმცა ბაზრის მონაწილეებისათვის და საქართველოს მოქალაქეებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა სავალუტო გარიგებების შედეგად მოხდა ლარის გაცვლითი კურსის განსაზღვრა.

გარდა ამისა, ეროვნული ბანკის მიერ უნდა გადაიხედოს საერთაშორისო სავალუტო რეზერვების მართვის პოლიტიკა, რომელიც დღეს ემსახურება ეროვნული ბანკის მხრიდან მხოლოდ ერთ მიზანს - რეზერვების მოცულობის განუხრელ ზრდას. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქართველოს სავალუტო რეზერვების დანიშნულება არ არის მხოლოდ მისი დაგროვება, არამედ, საჭიროების შემთხვევაში, მისი ხარჯვაც, სავალუტო ინტერვენციების გზით. სავალუტო რეზერვები, პირველ რიგში, უნდა ემსახურებოდეს შიდა სავალუტო ბაზრის სტაბილიზაციას და მისი ხარჯვა ნებისმიერი მასშტაბით გამართლებული იქნება, თუ თავიდან ავიცილებთ ლარის გაცვლითი კურსის მკვეთრ ცვალებადობას და ინფლაციურ მოლოდინს.

გარდა საერთაშორისო სავალუტო რეზერვების ხარჯვისა, ეროვნულ ბანკს შეუძლია გამოიყენოს რეგულირების სხვა ალტერნატიული ინსტრუმენტებიც, რათა შიდა სავალუტო ბაზარზე დააკმაყოფილოს უცხოურ ვალუტაზე არსებული გაზრდილი მოთხოვნა. ასეთ ინსტრუმენტად შესაძლებელია კომერციული ბანკების უცხოურ ვალუტაში არსებული მინიმალური რეზერვების გამოყენება, რომლის ზღვრული მოცულობის გარკვეული ოდენობით შემცირება საშუალებას მისცემს ეროვნულ ბანკს, სავალუტო რეზერვების პარალელურად, შექმნას შიდა სავალუტო ბაზარზე უცხოური ვალუტის მიწოდების ალტერნატიული წყარო, რითაც დაზოგავს სავალუტო რეზერვებს.

9. გთხოვთ, დაასახელოთ კონკრეტული ეკონომიკური პარამეტრები, რომელთა მიხედვითაც 2020 წელს შესაძლებელი იქნება შეფასდეს თქვენი ეკონომიკური და ფისკალური პოლიტიკის შედეგები.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების და მოქალაქეთა კეთილდღეობის უზრუნველყოფისთვის, რესპუბლიკური პარტიის მონაწილეობით, შემდგომი მოწვევის პარლამენტის საქმიანობის შედეგად:

- მიღებულია ფინანსური ბაზრების ქმედითი რეგულაციები და კანონის ფასიანი ქაღალდების შესახებ ახალი რედაქცია.
- ხდება საფონდო ბაზარზე მოქმედი საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობის რეეგულაცია.
- ხდება ბაზრის მხრიდან (ემიტენტებისგან) ინფორმაციის სისტემატიზება მათივე სააქციო საზოგადოების ფინანსური მაჩვენებლების შესახებ, რითაც პოტენციური ინვესტორისათვის გადაწყვეტილების მიღება გამარტივებულია.
- მსხვილი კომპანიები არ იმყოფებიან არაკონკურენტულ პრივილეგირებულ მდგომარეობაში და მათთვის ისეთივე თამაშის პირობები არსებობს, როგორც ყველა სხვა დანარჩენისათვის.

- აღმოფხვრილია საბანკო მექანიზმებსა და ფასიანი ქაღალდების ბაზარს შორის არსებული ასიმეტრია კანონმდებლობის და რეგულირების სხვადასხვა სფეროებში (მაგ., საგადასახადო, სავალუტო რეგულირება და ა.შ.).
- საბანკო სფეროს კონტროლიდან გამოყვანილია ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინფრასტრუქტურა (საფონდო ბირჟა, ცენტრალური დეპოზიტარი) და მასზე საკუთრების დივერსიფიკაციის იმგვარი მექანიზმია დამკვიდრებული, რაც უზრუნველყოფს „სამართლიანი სათამაშო მოედნის“ პრინციპს და ინვესტორთა და ემიტენტთა სრულ ნდობას იმსახურებს.
- განხორციელებულია საპენსიო რეფორმა, რომლის შედეგადაც მოქმედებს სახელმწიფო დაგროვებითი საპენსიო სისტემა, რომელშიც აკუმულირებული სახსრების დიდი ნაწილის ინვესტირება სწორედ ადგილობრივ ფასიან ქაღალდებში, ადგილობრივ ეკონომიკაში ხდება.
- ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით საქართველო ასრულებს ვალდებულებას, ევროკავშირის დირექტივებთან შესაბამისობაში მოიყვანოს კანონი ფასიანი ქაღალდების შესახებ და მომიჯნავე კანონები. ამ კუთხით უმნიშვნელოვანესია მთავრობის სამოქმედო გეგმა, რომელშიც მკაფიოდაა ჩამოყალიბებული მთავრობის ხედვა შემდეგ საკითხებთან მიმართებით: ვაჭრობამდე და ვაჭრობის შემდეგ გარიგებებისა და ფასის გამჭვირვალობის ზრდა, ემიტენტების ფინანსური ანგარიშგებისა და ინფორმაციის ღიაობა, ინვესტორთა თანაბარ პირობებში მოქცევის უზრუნველყოფა და ა.შ.

10. გთხოვთ, აღწეროთ თქვენი პოლიტიკა საგადასახადო და ფისკალურ პოლიტიკასთან მიმართებაში და დაასახელოთ/განიხილოთ თქვენი ინიციატივები (თუკი ასეთი გაქვთ) ამ მხრივ.

ეკონომიკური პოლიტიკა უნდა იყოს მიმართული არა აბსტრაქტულ ეკონომიკურ ზრდაზე, არამედ რეალურ ეკონომიკურ განვითარებაზე, რაც გულისხმობს ეკონომიკის რეალურ სექტორზე აქცენტს, მდგრად და დაბალანსებულ განვითარებას მთელი ქვეყნის მასშტაბით, თითოეულ ქალაქსა და სოფელში, რომელიც აისახება თითოეული ადამიანების და ოჯახის კეთილდღეობის ამაღლებას და საშუალო ფენის ფორმირებას, რაშიც უდიდესი როლი ენიჭება შესაბამის საგადასახადო სისტემას.

საგადასახადო პოლიტიკა, გადასახადის სახეების რაოდენობისა და საგადასახადო განაკვეთების თვალსაზრისით, საკმაოდ ლიბერალურია. თუმცა საგადასახადო პოლიტიკის და საგადასახადო ადმინისტრირების სრულყოფას პოზიტიური ზეგავლენა ექნება სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე.

საშემოსავლო გადასახადთან მიმართებაში, პროპორცული განაკვეთი (ანუ ანალოგიური განაკვეთი ნებისმიერი შემოსავლის შემთხვევაში) არასამართლიანად მაღალ საგადასახადო ტვირთს აკისრებს დაბალშემოსავლიან მოქალაქეებს. შესაბამისად, ჩვენ მიერ გატარდება ცვლილებები, საგადასახადო განაკვეთები დაეფუძნება პროგრესულ პრინციპს და განაკვეთები იქნება საფეხურებრივი, 10-დან 15 პროცენტამდე, პირის მიერ მიღებული შემოსავლების მიხედვით. ამასთან, საშემოსავლო გადასახადთან კომბინირებული იქნება სავალდებულო საპენსიო და სამედიცინო დაზღვევის სავალდებულო შენატანი 2-დან 5 პროცენტამდე.

საშემოსავლო გადასახადის დასაბეგრი ბაზიდან გადასახადის გადამხდელს ექნება საშუალება გამოქვითოს ცალკეული ხარჯები, მათ შორის: განათლებასთან, დაზღვევის გარდა

ჯანმრთელობის დაცვასთან, ცალკეულ პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები კანონით დადგენილ ფარგლებში.

2017 წლის 1 იანვრიდან ხდება რეინვესიტრებული მოგების გათავისუფლება მოგების გადასახადისგან, ჩვენ მიერ ინიცირებული იქნება ცვლილება, რომლის შესაბამისადაც საწარმოს დაქირავებულებისათვის დამქირავებლების მხრიდან სავალდებულო სამედიცინო და საპენსიო დაზღვევის შენატანების თანადაფინანსება, აგრეთვე, დაქირავებულთა განათლებაზე გაწეული ხარჯები გამოირიცხება მოგების გადასახადის დაბეგვრის ბაზიდან.

მოხდება საგადასახადო ადმინისტრირების შემდგომი სრულყოფა, გადასახადის გადამხდელების ინტერესების მეტი დაცვის მიმართულებით, მათ შორის მოხდება ეკონომიკური დანაშაულის მნიშვნელოვანი საკანონმდებლო დეკრიმინალიზაციის ფონზე, ფინანსური პოლიციის ლიკვიდაცია და მისი ფუნქციების გადანაწილება საგადასახადო და საგამოძიებო ორგანოებს შორის.

11. დაასახელეთ სახელმწიფო ხარჯების თქვენთვის მისაღები პროპორცია მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში, თუკი ასეთი პოზიცია გამოკვეთილი გაქვთ.

ქვეყანაში წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა მნიშვნელოვანი პარამეტრია, მაგრამ ის ეკონომიკური განვითარების სინონიმი არ არის, გაცილებით მნიშვნელოვანია მისი შიდა სტრუქტურა და ბენეფიციარები, რომლებზეც ის ახდენს გავლენას. მშპ-ის ზრდა, ძირითადად, მსხვილი კომპანიებისა და ფირმების წარმატებას ასახავს, რომლებიც დიდწილად სახელმწიფო შეკვეთების ხარჯზე მუშაობენ, მცირე და საშუალო ბიზნესის წილი, რომელიც მსოფლიოს ყველა ქვეყანაში მოსახლეობის ძირითადად დამსაქმებლად გვევლინება, მასში უმნიშვნელოა. ქვეყნის ეკონომიკური განვითარება არც სექტორულად და არც გეოგრაფიულად არ არის დივერსიფიცირებული - მხოლოდ რამდენიმე სექტორი ვითარდება და რეგიონების მკვეთრი ჩამორჩენის ფონზე, ძირითადად, დედაქალაქია წამყვანი. „ეკონომიკურ ზრდას“ მოსახლეობის უდიდესი ნაწილის მდგომარეობა არ გაუუმჯობესებია.

მშპ-ის ზრდა ავტომატურად არ განაპირობებს საზოგადოების კეთილდღეობის გაუმჯობესებას, თუ არ მოხდა მისი სარგებლიანობის „ინტენსიფიცირება“ - თუ არ დაიძლია შემოსავლების განაწილების მაღალი უთანაბრობა და ეკონომიკის წარმატება ყველა ოჯახმა არ იგრძნო; თუ საჯარო ფინანსების მართვაში არ დამკვიდრდა ეფექტიანობისა და გამჭვირვალობის თანამედროვე სტანდარტები და საზოგადოების მიერ გადახდილი გადასახადები მაქსიმალურად ოპტიმალური სახით არ დაიხარჯა; თუ ოჯახი, ხარისხიანი დასაქმება, განათლება და ჯანდაცვა არ გახდება განვითარების სტრატეგიის პრიორიტეტები.

მთავრობა არ უნდა ინტერესდებოდეს მხოლოდ მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლით. მან მოსახლეობას უნდა ჰკითხოს, თუ რამდენად კმაყოფილია საბინაო პირობებით, შემოსავლების დონით, სამსახურით, საცხოვრებელი ინფრასტრუქტურით, განათლებისა და ჯანმრთელობის ხარისხით, მმართველობის ეფექტურობით და ისიც კი, თუ რამდენად ახერხებს მოქალაქე თანაბრად გაანაწილოს საკუთარი დრო სამსახურსა და პირად ცხოვრებას შორის. გასაკვირი არაა, რომ განვითარებული ქვეყნები 1000-მდე ობიექტური და სუბიექტური ინდიკატორის მონიტორინგით ცდილობენ რეალური განვითარების ხარისხის დადგენას.

12. როგორია თქვენი პოლიტიკა სახელმწიფო ვალისა და საბიუჯეტო დეფიციტის მიმართ? რა პოლიტიკას გაატარებთ ამ მიმართულებით?

ამ საკითხზე პარტიის ხედვა უცნობია.

13. გთხოვთ, პირობითად გაანაწილოთ საქართველოს ბიუჯეტი თქვენი პოლიტიკის პრიორიტეტების მიხედვით (მაგალითად: თავდაცვა 25%, ჯანდაცვა 25%, სოციალური სფერო 25%, განათლება 15%, სხვა 10% და ა შ. სადაც კატეგორიაში ''სხვა'' მხოლოდ 3%-ზე ნაკლები მოცულების მიმართულებები მოხვდება).

ამ საკითხზე პარტიის ხედვა უცნობია.

14. რა პოლიტიკის გატარებას აპირებთ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის?

აფხაზებთან და ოსებთან შერიგების ღირებულებით საფუძვლად ჩვენ მივიჩნევთ ევროპეიზაციას, ინსტიტუციურ საფუძვლად კი - ევროინტეგრაციას. ამის საფუძველი იქნება ლიბერალური დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის, პოლიტიკური პლურალიზმისა და სამოქალაქო თანასწორობის სახელმწიფოდ საქართველოს ჩამოყალიბება.

კონფლიქტების მოგვარების უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტად ჩვენ ვაღიარებთ დიალოგს, რაც ურთიერთნდობის აღდგენისა და შერიგებისთვის აუცილებელ ნიადაგს ქმნის. ჩვენი პრინციპული პოზიციაა, რომ კონფლიქტების მოგვარება მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი გზით უნდა განხორციელდეს.

აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში (სამხრეთ ოსეთში) კონფლიქტების მოგვარებას ჩვენ ვხედავთ თანამედროვე ევროპული სახელმწიფოს მშენებლობის პარადიგმაში, რომელიც ეფუძნება სუბსიდიარობის, ასიმეტრიული რეგიონალიზმის პრინციპებს. ამგვარ სახელმწიფოში ყველა ეთნიკური ჯგუფის სამოქალაქო, პოლიტიკური, სოციალური და კულტურული უფლებები დაცულია, მრავალფეროვნება აღიარებულია, როგორც ღირებულება, ხოლო დისკრიმინაციის ნებისმიერი სახე გამორიცხულია. იმავდროულად, ვინაიდან მკაფიო ასიმეტრია აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების შემთხვევაში ობიექტური ხასიათისაა, კონფლიქტების მოგვარების სამართლებრივ-პოლიტიკური ფორმულები, შეიძლება, განსხვავებული აღმოჩნდეს.

უნდა მოხდეს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონის ვენეციის კომისიის რეკომენდაციებთან ჰარმონიზაცია, რომლის დროსაც უნდა ვიხელმძღვანელოთ პრინციპით, რომ კანონი მიმართული უნდა იყოს ოკუპაციის და არა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის წინააღმდეგ.

საერთაშორისო მისიები უნდა დაბრუნდნენ და შერიგების პროცესში მაქსიმალური მონაწილეობა მიიღონ, ევროკავშირის არაღიარებისა და ჩართულობის პოლიტიკა სრულყოფილად უნდა ამოქმედდეს.

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ზონის ჩამოყალიბება და ვიზების ლიბერალიზაციის მიმართულებით საქართველოს წინსვლა დამატებით შესაძლებლობებს ანიჭებს საქართველოს მოქალაქეებს და ჩვენი სურვილია, რომ ამ შესაძლებლობებით სრულად ისარგებლოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის (სამხრეთ ოსეთის) მოსახლეობამაც. საქართველომ საერთო ევროპული მომავალისკენ სვლა უნდა შესთავაზოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის (სამხრეთ ოსეთის) საზოგადოებებს.

საზოგადოებრივი და სოციალური საკითხები

1. რა პოლიტიკის და კონკრეტული ღონისძიებების განხორციელებას გეგმავთ ჯანდაცვის ხელმისაწვდომობისა და მისი ხარისხის ასამაღლებლად?

გვსურს, რომ ავადმყოფობის გამო გაღატაკების არ გვეშინოდეს, ყველა მოქალაქისათვის გარანტირებული იყოს ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურება, ხოლო ჯანდაცვის ხარჯები მძიმე ტვირთად არ აწვებოდეს სახელმწიფო ბიუჯეტს. საამისოდ საჭიროა, არსებული ჯანდაცვის სისტემის ხარჯთეფექტურ და ინვესტიციებისათვის მიმზიდველ სფეროდ ტრანსფორმაცია.

2012 წლის შემდეგ დაინერგა საყოველთაო ჯანდაცვის სამედიცინო დაზღვევის მექანიზმი, რამაც დადებითი ეფექტი მოიტანა საზოგადოებრივი განწყობების თვალსაზრისით, მაგრამ განუხრელად იზრდება საბიუჯეტო ხარჯები ჯანდაცვაზე. ეს მდგომარეობა თუ დროულად არ მოწესრიგდა, მომავალში, შეიძლება, დაეცეს სამედიცინო მომსახურების ხარისხი, ხელახლა გაჩნდეს კორუფცია და სხვა თანმდევი პრობლემები. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ეტაპობრივად დავიწყოთ სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის კერძო სისტემის არეალის გაფართოება, რომელშიც, კორპორატიული დაზღვევების სახით, უკვე ჩართულია მოსახლეობის ნაწილი. ამ მხრივ პირველი ნაბიჯი უნდა იყოს 700 ათასამდე დაქირავებით მომუშავის სრულად ჩართვა სახელმწიფოს მიერ დადგენილი მინიმალური პაკეტით კერძო სადაზღვევო კომპანიებში. აქ გამოყენებულ უნდა იქნეს მასტიმულირებელი მექანიზმები, ხოლო საჯარო სექტორში დასაქმებულებისათვის - სავალდებულო დაზღვევის მექანიზმებიც, მათ მიერ საოჯახო პაკეტებით დაზღვევის უზრუნველყოფისათვის. სავალდებულო დაზღვევის სისტემის შემოტანა, საშემოსავლო გადასახადის ნაწილობრივ სავალდებულო მინიმალურ სადაზღვევო შენატანად ტრანსფორმირება, მათ შორის, საოჯახო პაკეტების შეძენის ჩათვლით, დამქირავლების მხრიდან სადაზღვევო შენატანების სტიმულირება (მოგების გადასახადის დასაბეგრი ბაზიდან გამორიცხვა) არსებითად გააფართოვებს კერძო დაზღვევის არეალს. ამ გზით კერძო სადაზღვევო კომპანიაში დაზღვეულთა რაოდენობა ჯამში მიაღწევს 2 მლნ. ადამიანს და შეამცირებს საყოველთაო ჯანმრთელობის დაზღვევის ბენეფიციართა რაოდენობას და მასზე გამოყოფილ საბიუჯეტო სახსრებს. კერძო სადაზღვევო კომპანიებში დაზღვეულთა სამედიცინო მომსახურების ხარჯები საყოველთაო ჯანდაცვის სისტემიდან არ უნდა ანაზღაურდებოდეს, ასევე, მარტივად და დაყოვნების გარეშე უნდა ხდებოდეს საყოველთაო ჯანდაცვის პაკეტის მიღება კერძო სამედიცინო დაზღვევის დაკარგვის შემთხვევაში.

2. რა ინიციატივებით (თუკი ასეთი გაქვთ) გამოდიხართ სოციალური უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით?

ნაციონალური მოძრაობის მთავრობამ საპენსიო სისტემა საბიუჯეტო დახმარების სახედ აქცია, ეს სისტემა დარჩა 2012 წლის შემდეგაც და არ დაიწყო ნაბიჯების გადადგმა დაგროვებითი საპენსიო სისტემის შექმნის მიმართულებით, როგორიც არის მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. აუცილებელია უახლოეს მომავალში ამ მიმართულებით რეფორმის დაწყება და ამ საბიუჯეტო ტვირთისგან თანდათან გათავისუფლება. ამ მიზნით მოსახლეობა 3 კატეგორიად უნდა დაიყოს:

1. საპენსიო ასაკში მყოფი ადამიანები, ვინც დღეს იღებს უნიფიცირებულ პენსიას. ამ ჯგუფის წარმომადგენლებისათვის პენსიის დანიშვნისას გათვალისწინებული უნდა იქნეს მათი წარსული შრომითი საქმიანობა (სტაჟი) და სხვა მახასიათებლები, რაც

დიფერენცირებული პენსიის დანიშვნას უზრუნველყოფს. კანონით უნდა განისაზღვროს პირობითი საპენსიო კაპიტალი და იქიდან გამოითვალოს ყოველთვიური პენსია.

2. ადამიანები, რომლებიც ახლო მომავალში შევლენ საპენსიო ასაკში. ამ ჯგუფისათვის შერეული მოდელი უნდა იქნეს გამოყენებული, ეს ადამიანები შევლენ სავალდებულო საპენსიო დაზღვევის სისტემაში, სადაც მოხდება მათი შემოსავლებიდან დაგროვებით საპენსიო ანგარიშზე თანხების აკუმულირება, ხოლო რეფორმის დაწყებამდე არსებული პერიოდისათვის გამოყენებული იქნება პირობითი საპენსიო კაპიტალის ფორმულა, ამ ორი კომპონენტისგან შედგება პენსიის გაანგარიშების წესი მათ მიერ საპენსიო ასაკის მიღწევისას.
3. ახალგაზრდები, რომლებიც შორეულ მომავალში მიაღწევენ საპენსიო ასაკს და რომლებიც რეფორმის დაწყებისთანავე ჩაერთვებიან სავალდებულო საპენსიო დაზღვევის სისტემაში, თავიანთი შემოსავლებიდან ანარიცხებით მოახდენენ დაგროვებითი პენსიისათვის კაპიტალის აკუმულირებას ფონდში.

საპენსიო სისტემისათვის შეიძლება ორი მოდელის გამოყენება: ერთი, როცა მხოლოდ სახელმწიფო საპენსიო ფონდი იქმნება და მეორე, როცა სისტემა წარმოდგენილია მხოლოდ კერძო საპენსიო ფონდებით. საწყის ეტაპზე შერეული მოდელის გამოყენება მოხდება, როცა შესაძლებელია პარალელურად არსებობდეს როგორც სახელმწიფო, ისე კერძო საპენსიო ფონდები.

3. რა პოლიტიკას გაატარებთ იძულებით გადაადგილებული პირების საცხოვრებელი და სამუშაო სივრცის უკეთ ორგანიზებისთვის?

შერიგების პოლიტიკის დღის წესრიგში უნდა შევიდეს გალის რაიონში, საერთაშორიო მონიტორინგის პირობებში, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის, დაბრუნებულთა უსაფრთხოების, მოსახლეობის სხვა ჯგუფებთან მათი თანასწორუფლებიანობის, ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაციის დაუშვებლობის გარანტიების შექმნა.

ამგვარი პირობების უზრუნველყოფა ქმნის შესაძლებლობას დევნილთა დაბრუნების ფაქტის აღიარების თაობაზე აფხაზურ მხარესთან ორმხრივ ფორმატში დოკუმენტის მომზადებაზე მუშაობის დასაწყებად. დოკუმენტში ასევე უნდა დაფიქსირდეს აფხაზეთის სხვა რაიონებში დევნილთა ნებაყოფლობითი, ეტაპობრივი, უსაფრთხო, ღირსეული დაბრუნების პრინციპები. ამგვარი ტექსტის გაფორმება მოხსნის ორმხრივ თუ საერთაშორისო დონეზე ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო რეაგირების მექანიზმების გამოყენების აუცილებლობას და ურთიერთნდობის აღდგენისა და შერიგების გზაზე მნიშვნელოვან გარღვევად მოგვევლინება. ანალოგიური პრინციპების საფუძველზე უნდა გადაიჭრას დევნილთა დაბრუნების პრობლემა ოსურ მხარესთანაც.

ნებაყოფლობით დაბრუნების უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა ვრცელდება იმ პირებზეც, ვისაც კონფლიქტის გამო მოუწიათ თავისი საცხოვრებლისა და ქონების მიტოვება საქართველოს სხვა რეგიონებშიც. ჩვენ ვიზიარებთ „ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დაზარალებულთა ქონებრივი რესტიტუციისა და კომპენსაციის შესახებ“ კანონის“ (2007 წ. 1 იანვარი) სულისკვეთებას და მზად უნდა ვიყოთ ამ საკითხების უფრო ფართო სამართლებრივ და გეოგრაფიულ კონტექსტში განსახილველად.

გალისა და ახალგორის რაიონების მცხოვრებთა უსაფრთხოებისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის უზრუნველყოფა კონფლიქტის მხარეებს შორის ნდობის აღდგენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა. ე.წ. „ბორდერიზაციის“ პრაქტიკა იწვევს მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობის მკვეთრ გაუარესებას, ლახავს ადამიანის ძირითად თავისუფლებებს. საქართველო ცდილობს ამ რაიონების მცხოვრებთა მდგომარეობის შემსუბუქებას (მათი ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად) ადგილობრივ ხელისუფლებებთან ურთიერთქმედებით, საერთაშორისო თანამეგობრობის მონაწილეობითა და საერთაშორისო მისიების მეთვალყურეობის ქვეშ.

4. რა წინადადებებს (თუკი ასეთი გაქვთ) გვთავაზობთ უმცირესობათა უფლებების დაცვისა და ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი მეტად ინტეგრირებისთვის?

სახელმწიფომ უნდა იზრუნოს პიროვნების თავისუფალი განვითარებისა და თანასწორი პირობების შესაქმენლად. თავისუფალი ადამიანი პროგრესის წყაროა. ხელისუფლების ფუნქცია არის, არ ხელყოს ინდივიდის თავისუფლება. გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლება არის თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოების უმთავრესი საყრდენი, რადგან მხოლოდ ინფორმირებულ და თვითრეალიზებულ ადამიანს შეუძლია გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღება.

საჭიროა მოწყვლადი სოციალური ჯგუფების და ინდივიდების პრობლემების ზუსტი იდენტიფიცირება და სისტემური მიდგომის შემუშავება. სახელმწიფოს პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს თანასწორი გარემოს შექმნისა და დამოუკიდებელი ცხოვრების უზრუნველყოფისაკენ.

ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლები, ქალები, ბავშვები, ხანდაზმულები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ლგბტ პირები, როგორც მოწყვლადი სოციალური ჯგუფები, საჭიროებენ ინდივიდუალური მიდგომების შემუშავებას.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო მიერთებულია “დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ” კონვენციას და მიღებულია კანონი “დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ”, რეალურ ცხოვრებაში არასაკმარისია ყოფით დონეზე დისკრიმინაციის აღმოფხვრის ქმედითი და ეფექტიანი მექანიზმები. ამიტომ აუცილებელია ასეთი მექანიზმების შექმნა, კერძოდ, სათანადო სანქციებისა და მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაწესება, დისკრიმინაციის ფაქტების გამოსავლენად სახალხო დამცველისათვის მინიჭებული უფლებამოსილების გაფართოება.

განსაკუთრებული პრობლემაა ლგბტ ადამიანების მიმართ სახელმწიფოს პოლიტიკა. ისინი ხშირად არიან ძალადობისა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლი. ამ თემ(ებ)ის წარმომადგენლები დისკრიმინაციას განიცდიან ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. პრობლემას ამძაფრებს მათთან დაკავშირებული საკითხების მორალურ და არა უფლებრივ ჭრილში განხილვა. აუცილებელია დანაშაულისა და ძალადობის ფაქტებზე ადეკვატური რეაგირება და კანონის მოთხოვნების სამართლიანი მისადაგება.

5. პარლამენტთაშორისი კავშირის (Inter Parliamentary Union) მონაცემებით, საქართველო 185-დან 147-ე ადგილს იკავებს საკანონმდებლო ორგანოს წევრ ქალთა რაოდენობის მხრივ. გთხოვთ, აღწეროთ თქვენი ინიციატივები (თუკი ასეთი გაქვთ) ქალთა პოლიტიკაში თანამონაწილეობის გაზრდისათვის.

ქალთა უფლებების დაცვა და გენდერული თანასწორობის დამკვიდრება უმეტესად კვლავ დეკლარირებულ ღირებულებად რჩება, მიუხედავად ქალთა უფლებების დასაცავად განხორციელებული მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილებებისა. საქართველოს პარლამენტში წარმატება ვერ მოიპოვეს სქესის ნიშნის მიხედვით ქალთა მკვლელობის (ფემიციდის) ცალკე დანაშაულად აღიარებისა და პოლიტიკურ საქმიანობაში ქალთა ჩაბმის წამახალისებელმა (გენდერული კვოტირება საარჩევნო სიებში) კანონპროექტებმა. აუცილებელია მეტი ძალისხმევა საკანონმდებლო და, განსაკუთრებით, აღმასრულებელ დონეზე ქალსა და მამაკაცს შორის არსებული უთანასწორობის აღმოსაფხვრელად. პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის წამახალისებელი საკანონმდებლო მექანიზმების შემოღება კვლავ აქტუალურ თემად რჩება.

პრობლემათა დიდი დიაპაზონი განაპირობებს სისტემური და სიღრმისეული მიდგომის ჩამოყალიბების აუცილებლობას. უპირველესი ამოცანაა ქალების მიმართ არსებული ძალადობის წინააღმდეგ და მათი მძიმე სოციალური მდგომარეობის დასაძლევად ქმედითი მექანიზმების შემუშავება და ამოქმედება. ამისათვის აუცილებელია მოწყვლადი ქვეჯგუფების იდენტიფიცირება და ინდივიდუალური მიდგომის ჩამოყალიბება. ასეთ ქვეჯგუფებად შეიძლება მივიჩნიოთ:

- მარტოხელა და მრავალშვილიანი დედები
- მარტოხელა და მიუსაფარი მოხუცები
- დევნილი ქალები
- სუბკულტურული და მარგინალური ჯგუფების წარმომადგენელი ქალები (ეთნიკური, რელიგიური, ლბტ ჯგუფის წარმომადგენლები)
- სოფლად მცხოვრები ქალები
- დიასახლისები
- პატიმარი, პროსტიტუციაში ჩაბმული და ნარკოდამოკიდებული ქალები.

ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობის წამახალისებელი საკანონმდებლო მექანიზმების შემოღება კვლავ რჩება აქტუალურ თემად. სამართლიანია, გადაწყვეტილების მიღების დონეზე ქალები სათანადოდ იყვნენ წარმოდგენილი.

6. რა პრობლემებს ხედავს თქვენი პარტია ბავშვთა უფლებების განხორციელებასთან დაკავშირებით და რა პოლიტიკის გატარებას აპირებთ, რომ საქართველოში ყველა ბავშვის უფლება იყოს დაცული?

ბავშვთა და ხანდაზმულთა მიმართ უთანასწორო მიდგომა, სიღარიბე, ქუჩაში ცხოვრება, ძალადობა და ტრეფიკინგი, სიკვდილიანობა კვლავ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემად რჩება. უნდა მოხდეს მათი უფლებებისა და კეთილდღეობის საკითხების განხილვის აქტუალიზება და ბიუჯეტში ასახვა. უნდა შეიქმნას ქუჩაში მცხოვრებ ბავშვთა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის მექანიზმები. განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს ისეთი სახელმწიფო პროგრამების შემუშავებაზე, რომლებიც ორიენტირებული იქნება ბავშვთა მიტოვების პრევენციაზე. მიუსაფარ ხანდაზმულთათვის უნდა შეიქმნას სათემო სახლები.

7. გთხოვთ, დაგვისახელოთ თქვენი წინადადებები (თუკი ასეთი გაქვთ), რომლებიც მიმართულია ეკოლოგიურად უფრო ჯანსაღი და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნისაკენ.

ჩვენი პოლიტიკის ფოკუსში გარემოს დაცვითი საკითხების მოქცევა მიზნად ისახავს დაასაბუთოს რომ გარემოს დეგრადაცია ეკონომიკურად წამგებიანია და პირიქით, გარემოს დაცვას მაღალი ეკონომიკური შედეგიანობა ახასიათებს. გარემოზე მიყენებული ზარალის და მისი სოციალური და კულტურული შედეგების აღმოფხვრა უფრო ძვირია, ვიდრე ეკონომიკის და რესურსების გამოყენების ურთიერთმიმართებაში მდგრადობის მიდგომის ჩართვა (რაც, ერთჯერადად და ხანმოკლე პერსპექტივაში, მეტ ინვესტირებას ითხოვს, მაგრამ ხანგრძლივვადიან პერსპექტივაშია მომგებიანი). ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული ყურადღების ღირსია მაღალმთიან რეგიონებში დაცული ტერიტორიების განვითარება და მათ ირგვლივ ეკონომიკური აქტივობების გაშლა. უკვე არსებული პრაქტიკით ჩანს, სადაც დაცული ტერიტორიები შეიქმნა, ადგილობრივი თემი ეკონომიკურ აქტივობას იოლად ითვისებს, იქმნება გესთჰაუზები, იწყება აგროპროდუქციის წარმოება, ეკოტურიზმის ინფრასტრუქტურა ვითარდება, იქმნება თვითმყოფადი და მდგრადი სათემო ეკონომიკური ინფრასტრუქტურა.

დაცული ტერიტორიები ასევე აუცილებელია წყლის რესურსების შენარჩუნებისთვის. აღმოსავლეთ საქართველო, უპირველესად თბილისი, ჯამში საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 1,5 მლნ ადამიანი, დამოკიდებულია ფშავ-ხევსურეთის მდინარეებიდან მიღებულ წყალზე. ამ წყალს საფრთხე შეექმნება თუკი აღმოსავლეთ საქართველოს მთის ტყეების დეგრადაცია გაგრძელდება. მათი აღდგენა გაცილებით ძვირი და ხანგრძლივი პროცესია, ვიდრე შენარჩუნება.

უდიდეს პრობლემას წარმოადგენს ბუნებრივი რესურსების არარაციონალური ექსპლუატაცია. ამჟამად, არ არსებობს არანაირი პოლიტიკის ხედვა თუ როგორი სტანდარტით შეიძლება გარემოში ჩარევა და რა მოთხოვნები არსებობს გარემოზე მიყენებული ზარალისთვის ინვესტორის მიმართ. ამ მიმართულებით, ჩვენ შევქმნით აქტორებს შორის კომუნიკაციის შესაბამის მექანიზმს და გამჭვირვალობის სათანადო სტანდარტს, რაც კორუფციის და ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ალბათობას შეამცირებს. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ გარემოსთვის მიყენებულ ზარალს, ემატება სოციალური და ეკონომიკური ფასი. საჭიროა ყველა ამ კომპონენტის თანაფარდობის ანალიზი და მოკლე, საშუალო და ხანგრძლივ ვადიანი ეკონომიკური მოგების პარამეტრების მიხედვით გარემოს დაცვითი სტრატეგიის შემუშავება.

განსაკუთრებით მწვავედ დგას ურბანული სივრცეების ეკოლოგიის პრობლემები. ამ მხრივ ჩვენი ყურადღების ცენტრშია სამშენებლო სექტორი და ქალაქგანვითარების პოლიტიკა, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა და საჯარო სივრცის მოწყობის საკითხები.

8. აპირებთ თუ არა სპეციალური პოლიტიკის გატარებას ქვეყანაში საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების გაუმჯობესებისთვის?

საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების გაუმჯობესებისათვის აუცილებელია ავტომანქანების ტექნიკური მდგომარეობის სტანდარტის დადგენა და ავტომანქანების პარკის სავალდებულო პერიოდული ტექდათვალიერების დაწესება; საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის გონივრულ ფარგლებში სანქციების გამკაცრება; საგადასახადო შეღავათის შემოღების მეშვეობით ახალი ავტომანქანების, ჰიბრიდული ავტომანქანებისა და ელექტრომობილების იმპორტის ხელშეწყობა, რაც ხელს შეუწყობს გარემოს გაჯანსაღებასაც.

9. აპირებთ თუ არა რაიმე პოლიტიკის გატარებას სამოქალაქო სექტორის/არასამთავრობო ორგანიზაციების გაძლიერების ხელშეწყობისთვის?

ამ საკითხზე პარტიის ხედვა უცნობია.

საგარეო პოლიტიკა, უსაფრთხოება და საერთაშორისო ურთიერთობები

1. გთხოვთ, განიხილოთ საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტები და რა სტრატეგიის განხორციელებას აპირებთ ამ პრიორიტეტების რეალიზაციისათვის.

საქართველოს უნდა ეკავოს ღირსეული ადგილი დამოუკიდებელი სახელმწიფოების მსოფლიო სისტემაში და ატარებდეს ეფექტურ საგარეო პოლიტიკას ქვეყნის უსაფრთხოების, ეკონომიკური ზრდისა და კულტურული განვითარების უზრუნველსაყოფად.

ამისათვის საჭიროა მეტი ინტეგრაცია დემოკრატიული სახელმწიფოების უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ევროატლანტიკურ სისტემაში, კეთილმეზობლური ურთიერთობების გაღრმავება ჩვენი რეგიონის ყველა სახელმწიფოსთან, ვინც პატივს სცემს საქართველოს სუვერენიტეტს და ქვეყნის სავაჭრო-ეკონომიკური პოტენციალის უკეთ წარმოჩენა მსოფლიო ასპარეზზე.

ქვეყნის მთავარი საფრთხეა ბოლო წლებში განსაკუთრებით გააქტიურებული რუსული იმპერიალიზმი. რუსეთის აგრესიული მიზნები და ამბიციები საქრთველოსთან მიმართებაში აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ოკუპაციით და დე-ფაქტო ანექსიით არ დასრულებულა. რუსული საფრთხე რეგიონალურ და გლობალურ და არა მხოლოდ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის კონტექსტშია დასანახი.

ქვეყნისათვის აგრეთვე მნიშვნელოვანი საფრთხის შემცველია შეიარაღებული კონფლიქტები და მზარდი სამხედრო-პოლიტიკური კონკურენცია სამეზობლოში, საერთაშორისო ტერორიზმი, ევროსკეპტიკური განწყობების ზრდა ევროპაში, იზოლაციონიზმის შესაძლო ზრდა აშშ-ს საგარეო პოლიტიკაში, ევროატლანტიკური ინტეგრაციის დაბალი და რუსული აგრესიის ზრდის მაღალი ტემპი.

საგარეო პოლიტიკურ გამოწვევებთან გასამკლავებლად აუცილებელი უფრო ეფექტური, თანმიმდევრული და დინამიური საგარეო პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელებისათვის საჭიროა:

- ქვეყნის გრძელვადიანი სტრატეგიული პრიორიტეტების თაობაზე ფართო პოლიტიკური და საზოგადოებრივი კონსენსუსის მიღწევა და დაცვა;
- ქვეყნის ევროატლანტიკური ინტეგრაციის, როგორც თვალსაწიერ მომავალში სახელმწიფოს განვითარების სტრატეგიული ვექტორის, კონსტიტუციურ პრინციპად ქცევა;
- ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის უკეთესი ჰარმონიზაცია;
- რეგიონული მასშტაბის სამშვიდობო და სათანამშრომლო პოლიტიკური და ეკონომიკური ინიციატივების შეთავაზება;
- სტრტეგიულ პარტნიორებთან თანამშრომლობიდან მეტი ხელშესახები სარგებლის მიღება კონკრეტული პროექტების ინიცირებით;
- დიპლომატიური სამსახურის სრულად განთავისუფლება ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკური ძალების ვიწროპარტიულ-საარჩევნო ამოცანებისგან;

- დიპლომატიურ მისიებში წარგზავნილი საჯარო მოხელეების პროფესიული კვალიფიკაციის მუდმივი ზრდა და მათი საქმიანობის და ცხოვრების ღირსეული პირობების უზრუნველყოფა;
- 2010 წლის კონსტიტუციური რეფორმის შედეგად, საგარეო პოლიტიკის შემუშავებაში და განხორციელებაში პარლამენტის შესუსტებული როლის გაზრდა კონსტიტუციური ან სხვა მექანიზმებით.

2. რომელ ქვეყნებთან/ქვეყანათა გაერთიანებებთან/ალიანსებთან იზრუნებთ სტრატეგიული, მათ შორის სამხედრო-სტრატეგიული პარტნიორობისა და თანამშრომლობის ფორმირებასა ან განმტკიცებაზე? რა ნაბიჯებს გადადგამთ ამ მხრივ? რომელი ქვეყანა/გაერთიანება/ალიანსი წარმოგიდგენიათ საქართველოს მთავარ სტრატეგიულ პარტნიორად?

საქართველოს სტრატეგიული პოლიტიკური, ეკონომიკური და უსაფრთხოების ინტერესების რეალიზება უკავშირდება ნატო-ში და ევროკავშირში მზარდი ინტეგრაციის პროცესს, რომლის საბოლოო შედეგი უნდა იყოს სრულფასოვანი წევრობა. ამასთანავე, როგორც თავად ამ პროცესის წარმატება, ისე სრულფასოვან წევრობამდე პერიოდში ქვეყნის უსაფრთხოების და ეკონომიკური წინსვლის უზრუნველყოფა დამოკიდებულია ნატოსა და ევროკავშირის წამყვან სახელმწიფოებთან, უპირველეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებულ შტატებთან სტრატეგიული თანამშრომლობის გაღრმავებაზე.

3. რა საკითხებს ანიჭებთ განსაკუთრებულ პრიორიტეტს ევროკავშირთან ასოცირების და ღრმა და ყოვლისმომცველი ხელშეკრულებების რეალიზაციის პროცესში?

იმისთვის, რომ ევროპა დაგვეხმაროს ქვეყნის აღმშენებლობაში და საქართველო გახდეს ევროპული ოჯახის თანასწორუფლებიანი წევრი, საჭიროა საქართველოს მიერ არჩეული ევროპის კავშირთან ინტეგრაციის პოლიტიკური კურსის წარმატებით განხორციელება, ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების შესაძლებლობების ეფექტიანად გამოყენება.

საქართველოს შემთხვევაში, რეალისტურია პირველ ეტაპზე (Association, pre-accession period) ასეულობით მილიონი ევროს, შემდეგ კი - პოტენციურად მილიარდობით ევროს გამოყოფის პერსპექტივა. აუცილებელია დავიწყოთ აქტიური მუშაობა და ლობირება, რათა გაგვიჩნდეს შესაძლებლობა, ბევრად უფრო სოლიდური ფინანსები მოვიზიდოთ უკვე ევროკავშირის სტრუქტურული და სხვა მსხვილი ფონდებიდან, მათ შორის, ევროპის რეგიონული განვითარების (ERDF), ევროპის სოციალური (ESF) და ევროპის კოჰეზიის (გათანაბრების/უთანაბრობის შემცირების-GF) ფონდებიდან. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ERDF-თან და CF-თან ურთიერთობა, რომლებიც რეგიონული განვითარებისა და რეგიონული უთანაბრობების შემცირებაზე ორიენტირებული ფონდებია.

ევროპის კავშირისგან დახმარების მიღების მრავალმხრივი შესაძლებლობებიდან მნიშვნელოვანია რეგიონულ პოლიტიკა და რურარული (სოფლის) განვითარება, რომლის შედეგები ყველაზე თვალსაჩინოა მოსახლეობისათვის, რამდენადაც მის ფარგლებში, უპირატესად, ხდება ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება: წყალსადენებისა და კანალიზაციის, გზებისა და ხიდების, სკოლებისა და საბავშვო ბაღების მშენებლობა და რეაბილიტაცია, მუზეუმებისა და პარკების, საცხოვრებელი კორპუსებისა და ადმინისტრაციული შენობების კეთილმოწყობა, ასევე, მცირე და საშუალო ბიზნესისათვის

ხელშეწყობა გრანტებით, შეღავათიანი დაკრედიტებით, მეწარმეობის დაწყების დაფინასებით და მისთ. ამასთან, უაღრესად მნიშვნელოვანია:

- წინა-გაწევრიანების დახმარების ინსტრუმენტი;
- ინტერმუნიციპალური თანამშრომლობის შესაძლებლობები;
- ჰორიზონტი 2020 (Horizon 2020).

აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრი ქვეყნების დახმარების რესურსებიდან ძალზე მნიშვნელოვანია სამეზობლო საინვესტიციო ინსტრუმენტი (NIF) - დამატებითი რესურსების მობილიზების მექანიზმი ტრანსპორტის, ენერგეტიკის, გარემოსა და სოციალური სექტორების ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად.

ქვეყნის ევროპული ინტეგრაციის გზაზე შემდეგი ნაბიჯი უნდა გახდეს საქართველოს ხელისუფლების მიერ ევროკავშირის წევრობის ოფიციალური მოთხოვნა ევროკავშირის შეთანხმების 49-ე მუხლის საფუძველზე, რისთვისაც არსებობს ობიექტური საფუძვლები და საჭიროა საქართველოს ხელისუფლების მიერ გამოხატული მკვეთრი პოლიტიკური პოლიტიკური ნება.

4. რა საგარეო პოლიტიკის გატარებას აპირებთ სამხრეთ კავკასიასა და შავი ზღვის აუზში?

ამ საკითხზე პარტიის ხედვა უცნობია.

5. როგორ წარმოგიდგენიათ თავდაცვის ორგანიზაცია?

საჭიროა ეროვნული უსაფრთხოების და თავდაცვის გრძელვადიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება და დემოკრატიული სახელმწიფოების უსაფრთხოების სისტემაში მაქსიმალური ინტეგრაცია.

2016 წლის საპარლამენტო არჩევნებს საქართველო უმძიმესი გამოწვევების ფონზე ხვდება არა მხოლოდ რუსეთის მიერ ქვეყნის ტერიტორიების ოკუპაციის გამო. რუსეთ-უკრაინის ომის, სირიის კრიზისის, გაერთიანებული სამეფოს რეფერენდუმის, ევროპაში მომრავლებული ტერორისტული აქტების, თურქეთში შეიარაღებული ამბოხის შემდეგ განვითრებული მოვლენების და რუსეთის მზარდი გლობალური ამბიციების ფონზე საქართველოს უსაფრთხოების სამხედრო-პოლიტიკური სისტემა, სულ უფრო და უფრო მოწყვლადი და მყიფე ხდება.

ამავდროულად, თავად ჩვენს ქვეყანაში აშკარაა საოკუპაციო რეჟიმის მრავალმხრივი გააქტიურება: აქტიურობა საოკუპაციო ხაზისპირა სოფლებში, აქტიურობა ქართულ მედიაში, აქტიურობა პოლიტიკურ სივრცეში და სამოქალაქო სექტორში. დღეს, ისე, როგორც არასდროს ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე განმავლობაში, რბილი ძალა აქტიურია და საოკუპაციო ხაზთან მდგარი ტანკების ფონზე რუსული პროპაგანდის მანქანა დღითიდღე ძალას იკრებს.

ასეთ პირობებში შეუძლებელია ქვეყნის განვითარებაზე, წარმატებულ, ეკონომიკურად ძლიერ საქართველოზე ვისაუბროთ, თუკი ქვეყნის უსაფრთხოების დამატებითი გარანტიები არ შეიქმნა. უცხოური პირდაპირი ინვესტიცია, რომელიც სასიცოცხლოდ აუცილებელია წელში გამართული, სოციალურად დაცული და ეკონომიკურად ძლიერი საქართველოსთვის, მხოლოდ სტაბილურ და უსაფრთხო ქვეყანაში მოედინება.

შესაბამისად, პირველ რიგში, სწორედ სწრაფი ეკონომიკური ზრდისა და ქვეყნის წარმატებისთვის არის უმნიშვნელოვანესი, მეტი საბიუჯეტო რესურსის დათმობა თავდაცვისუნარიანობის გამყარებისა და შეკავების შესაძლებლობების ზრდისთვის. დღეს, ქვეყანას სჭირდება გადამწყვეტი, თამამი ნაბიჯების გადადგმა და მკაცრად განსაზღვრული „წითელი ხაზების“ პოლიტიკა საერთაშორისო ურთიერთობებში.

დღეს, ისე როგორც არასდროს, ქვეყანას სჭირდება პოლიტიკური ძალა ხელისუფლებაში, რომელსაც მკაცრად და მტკიცედ ჩამოყალიბებული ღირებულებები და პრინციპები აქვს, რომელიც ქმედითად უპირისპირდება ოკუპაციას, თანმიმდევრულად ატარებს სამშვიდობო პოლიტიკას, ორიენტირებულია საერთაშორისო ნდობის განმტკიცებაზე, მკაფიოდ აქვს გამოკვეთილი ქვეყნის პრიორიტეტები პარტნიორებთან ურთიერთობაში და აქვს მრავალწლიანი ხედვა საქართველოს უსაფრთხოების და თავდაცვის უმთავრესი ამოცანების გადასაწყვეტად.

6. როგორ წარმოგიდგენიათ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ძირითადი არქიტექტურა/პრინციპები?

უკვე 5 წელზე მეტია, საქართველოში არ მომხდარა ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიული დოკუმენტების გადახედვა. მიზეზი აღრეული კომპეტენციები, დუბლირებული ფუნქციები და სახელისუფლებო შტოებს შორის არასათანამშრომლო ატმოსფეროა.

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის უმთავრესი გამოწვევა - საფრთხეების არაადექვატური თავდაცვის ბიუჯეტი და შეიარაღებული ძალების მზადყოფნის ხარისხია. აუცილებელია მრავალწლიანი და სისტემური საბიუჯეტო პროცესის წარმართვა, რომელიც თავისუფალი და დამოუკიდებელი იქნება პოლიტიკური კონიუნქტურისაგან. ამისთვის აუცილებელია:

- ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის გადახედვა და თანამედროვე გამოწვევების შესაბამისი სტრატეგიული დოკუმენტის დამტკიცება, საქართველოს საფრთხეების შეფასების დოკუმენტის ფუნდამენტური გადასინჯვა;
- თავდაცვის შესახებ კანონის მიღება და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში თავდაცვის სამინისტროს წამყვანი როლის საკანონმდებლო წესით დადასტურება;
- ეროვნული უშიშროების საბჭოს გაძლიერება დღევანდელ კონსტიტუციურ რეალობაზე მორგებით და მთავრობის სისტემაში არსებული უსაფრთხოების საბჭოს ტრანსფორმირება კრიზისების მართვის ცენტრად;
- ეფექტური დოქტრინული ბაზისა და სტანდარტული სამოქმედო პროცედურების ჩამოყალიბება გადაწყვეტილების მიმღები ყველა რგოლის და ინსტიტუციისთვის;
- შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის გაზრდა ბაზების პრინციპზე გადასვლით, პროფესიული მომზადების სტანდარტის აწევით და თანამედროვე აღჭურვილობით უზრუნველყოფით;
- თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტის სტრატეგიულ, გრძელვადიან და პროგრამულ დაგეგმვაზე გადასვლა;
- შეიარაღებული ძალების სისტემური რეორგანიზაციის გაგრძელება ნატოს სტანდარტების უზრუნველყოფის მიზნით, მათ შორის საკონტრაქტო სამსახურში გაწვევის სამწლიანი გეგმის დამტკიცება და რეზერვისა და მობილიზაციის კონცეფციის ამოქმედებისათვის საჭირო საკანონმდებლო ბაზის შექმნა;
- თავდაცვისუნარიანობის პრიორიტეტების გამოკვეთა და დაგეგმარება შემდეგი 4-8 წლის პერსპექტივით: სახმელეთო ძალების გაძლიერება, ჰაერსაწინააღმდეგო

თავდაცვის საშუალებების გაძლიერება, ანტი-სატანკო საშუალებების გაძლიერება;

- ნატოსთან და ნატოს წევრ ქვეყნებთან სატრატეგიული თანამშრომლობის მოცულობის და მიმართულებების გაფართოება;
- ნატო-ს, ევროკავშირის და გაერო-ს სამშვიდო ოპერაციებში საქართველოს შეიარაღებული ძალების მონაწილეობიდან მაქსიმალური სარგებლის მიღება;
- ჯარში თაობათა ცვლის პროცესის და ბიუროკრატიული სისტემის ოპტიმიზაციის სტიმულირება და რეგულირება საკანონმდებლო და საკომპენსაციო მექანიზმებით;
- ეროვნული გვარდიის ფუნქციის ტრანსფორმაცია და კრიზისების დროს მისი გამოყენების შესაძლებლობის გამარტივება.